



თარგმანი ინგლისურიდან

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს 86-ე სხდომის ოქმი

2017 წლის 10 აპრილი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მონაწილეები:

#	ქსს წევრები/ალტერნატივები	
1	დავით სერგეენკო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ქსს-ს თავმჯდომარე
2	თამარ გაბუნია	“უნივერსითი რისერჩ კო” (URC) ქსს-ს თავმჯდომარის მოადგილე
3	ამირან გამყრელიძე	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი გლობალური ფონდის გრანტების ძირითადი მიმღები ორგანიზაცია
4	მერაბ გოცირიძე	ალტერნატიული წევრი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი
5	თენგიზ ცერცვაძე	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული ცენტრის გენერალური დირექტორი ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
6	ზაზა ავალიანი	ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
7	ხათუნა თოღაძე	ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის გლობალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარე ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა.

		ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
8	თამაზ მარსაგიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე
9	რუსუდან კლიმიაშვილი	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამების კოორდინატორი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი
10	თამარ სირბილაძე	აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების დეპარტამენტის დირექტორი
11	ლელა ბაქრაძე	გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი
12	ზურაბ ვადაჭკორია	სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი
13	ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
14	ლაშა აბესაძე	ალტერნატიული წევრი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ვექტორი“, ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
15	იზოლეტა ბოდოკია	არასამთავრობო ორგანიზაცია “შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი”, ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
16	დავით კახაბერი	ალტერნატიული წევრი, MSM წარმომადგენლობა
17	მაია ბუწაშვილი	არასამთავრობო ორგანიზაცია “ჯანმრთელობის კვლევის კავშირი”, დირექტორი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი
18	მაკა გოგია	ალტერნატიული წევრი, არასამთავრობო ორგანიზაცია ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი, ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
19	თამარ ბორცვაძე	არასამთავრობო ორგანიზაცია MdM, უფროსი ოფიცერი ადვოკატირების საკითხებში, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე
20	ნინო ქაჯაია	ალტერნატიული წევრი, არასამთავრობო ორგანიზაცია გამარჯვებულთა კლუბი
21	ნიკოლოზ მირზაშვილი	ყოფილი ტბ პაციენტი, პაციენტთა კავშირი, გამგეობის წევრი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი
22	ნინო	ალტერნატიული წევრი, არასამთავრობო ორგანიზაციის

	ოსეფაიშვილი	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
მოწვეული პირები		
23	ირაკლი კაციტაძე	ადგილობრივი ფინანსური აგენტი, გუნდის მეთაური
24	ირმა ხონელიძე	დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გენერალური დირექტორის მოადგილე, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, დირექტორი
25	მზია ტაბატაძე	ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელი, კონსულტანტი
26	გიორგი თაბაგარი	არასამთავრობო ორგანიზაცია თანასწორობის მოძრაობა
27	დავით ანანიაშვილი	არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველო პლიუს ჯგუფი, დირექტორი
28	ნატალია ზაქარეიშვილი	გაეროს მოსახლეობის ფონდი, პროგრამის ანალიტიკოსი
29	ქეთევან სტვილია	გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, აივ პროგრამის მენეჯერი
სამდივნო		
30	ირინა გრძელიძე	აღმასრულებელი მდივანი
31	ნათია ხონელიძე	ადმინისტრაციული ასისტენტი

დღის წესრიგი

15:00 – 15:10	სხდომის გახსნა/დღის წესრიგის დამტკიცება/საბჭოს 85-ე სხდომის ოქმის დამტკიცება ბ-ნი დავით სერგეენკო - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
15:10 – 15:15	მიმართვა საბჭოს წევრებისადმი ინტერესთა კონფლიქტის არსებობის დეკლარირების თხოვნით სამდივნო

15:15 – 15:30	<p>გლობალური ფონდის ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის გრანტების მიმდინარეობა</p> <p>ქ-ნი ირმა ხონელიძე - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, გლობალური ფონდის პროექტის დირექტორი</p>
15:30-15:45	<p>საზედამხედველო კომიტეტის საქმიანობის ანგარიში</p> <p>ქ-ნი თამარ ბორცვაძე - საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე</p>
15:45- 16:00	<p>ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელის ინიციატივა/თემის დონეზე შპრიცებს და ნემსების პროგრამის და მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შექმნა/დისკუსია</p> <p>ქ-ნი მზია ტაბატაძე - ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელის კონსულტანტი</p>
16:00 – 16:05	<p>გლობალური ფონდის რეგიონული პროგრამა „აღმოსავლეთ ევროპაში და ცენტრალურ აზიაში მსმ-ებისა და ტრანსგენდერების აივ/შიდსის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაძლიერებისკენ მიმართული თემის ქმედებები“</p> <p>ბ-ნი გიორგი თაბაგარი - თანასწორობის მოძრაობა, პროექტის მენეჯერი</p>
16:05 – 16:15	<p>დაფინანსების განაცხადის შემუშავებაში მჭიდრო ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით გამართული სათემო ორგანიზაციების შეხვედრების შედეგების წარდგენა</p> <p>ბ-ნი დავით ანანიაშვილი - საქართველოს პლიუს ჯგუფი, დირექტორი</p>
16:15 – 16:20	<p>ინფორმაცია ბავშვთა ტუბერკულოზის სამკურნალო განყოფილების ახალი შენობის გახსნის შესახებ</p> <p>ბ-ნი ზაზა ავალიანი - ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, დირექტორი</p>
16:20 - 16:30	<p>მიმდინარე საკითხები/განცხადებები</p>
16:30	<p>სხდომის დახურვა</p>

აბრევიატურების სია:

AIDS - Acquired Immune Deficiency Syndrome, შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

CBO – Community Based Organization, სათემო ორგანიზაცია,

CCM – Country Coordinating Mechanism, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

CoI – Conflict of Interest, ინტერესთა კონფლიქტი

CSO – Civil Society Organization, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია

DR – Drug Resistance, რეზისტენტობა მედიკამენტების მიმართ

ECUO – East Europe & Central Asia Union of People Living with HIV, აივ-ინფიცირებულების აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის კავშირი

EHRN - Eurazian Harm Reduction Network, ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელი

FPM - Fund Portfolio Manager, გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერი

GA – General Assembly, გენერალური ასამბლეა

GFATM – Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria, შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი

GHRN _ Georgia Harm Reduction Network, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

HIV - Human Immunodeficiency Virus, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

HRU – Health Research Union, ჯანმრთელობის კვლევის კავშირი

IDU – Injecting Drug User, ნარკოტიკის ინიექციური მომხმარებელი

LFA – Local Fund Agent, ადგილობრივი ფინანსური აგენტი

M&E - Monitoring and Evaluation, მონიტორინგი და შეფასება

MdM - Médecins du Monde, მსოფლიო ექიმები

MoLHSA – Ministry of Labor, Health and Social Affairs, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MSF - Médecins Sans Frontières, ექიმები საზღვრის გარეშე

MSM - Men who have Sex with Men, მამაკაცები, რომლებიც სქესობრივ კავშირს ამყარებენ მამაკაცებთან

NCDC&PH – National Center for Disease Control and Public Health, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

NFM – New Funding Model, დაფინანსების ახალი მოდელი

NGO - Non-Governmental Organization, არასამთავრობო ორგანიზაცია

NCTLD – National Center for Tuberculosis and Lung Diseases, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

NSP – Needle and Syringe Program, შპრიცების და ნემსების გაცვლის პროგრამა

OC – Oversight Committee, საზედამხედველო კომიტეტი

OST – Opioid Substitution Therapy, ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია

PIU - Project Implementation Union, პროექტის განმახორციელებელი ერთეული

PR – Principal Recipient, ძირითადი მიმღები

PUDR – Progress Update and Disbursement Request, განხორციელების სტატუსი და გადარიცხვის მოთხოვნა

PWID – People who Inject Drugs, ნარკოტიკის ინიექციური მომხმარებლები

SR - Sub-recipient, ქვე-კონტრაქტორი

SSR – Sub-sub-recipient, ქვე-ქვე-კონტრაქტორი

STI – Sexually Transmitted Infections, სქესობივი გზით გადამდები ინფექციები

SW – Sex Worker, სექს-მუშაკი

TB – Tuberculosis, ტუბერკულოზი

TG – Transgender, ტრანსგენდერი

UNFPA – United Nations Population Fund, გაეროს მოსახლეობის ფონდი

URC – University Research Corporation, “უნივერსითი რისერჩ კო”

USAID - United States Agency for International Development, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

WHO - World Health Organization, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

თამარ გაბუნია - მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა მოახსენა მათ მობრძანებისთვის. თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ ბ-ნი დავით

სერგეენკო შემოუერთდება სხდომას მოგვიანებით. ქ-ნმა გაბუნია მიმოიხილა დღის წესრიგი, მიმართა დამსწრე საზოგადოებას არსებობის შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის განცხადების, ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირების ფორმის შევსების და ქსს-ს 86-ე სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით, არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი კომენტარის/საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმის თხოვნით.

ქსს-ს 86-ე სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა. მოწონებულ იქნა ქსს-ს 85-ე სხდომის ოქმი, დღის წესრიგის საკითხებთან მიმართებაში არ განცხადდა ინტერესთა კონფლიქტის არსებობა.

თამარ გაბუნია - სიტყვა გადასცა ქ-ნ ხონელიძეს.

ირმა ხონელიძე – განაცხადა, რომ განხორციელების სტატუსის და გადარიცხვის მოთხოვნის (PUDR) ანგარიშგების ექსპერტიზის პრინციპი შეიცვალა და გახდა წლიური. ძირითადად მიმდებმა წარუდგინა გლობალურ ფონდს განხორციელების სტატუსის და გადარიცხვის მოთხოვნის (PUDR) დოკუმენტები განახლებული ვადების ფარგლებში. ვალიდაციის პროცესის დასრულების შემდეგ, დოკუმენტები მიეწოდება ქსს-ს. ორივე გრანტის 2016 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდის დეშორდები მიეწოდა ქსს-ს. საზედამხედველო კომიტეტი განიხილავს დოკუმენტებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მომდევნო კვირების განმავლობაში. აივ-ის და ტბ პროგრამების აუდიტი, მათ შორის ტბ გრანტის დახურვის აუდიტი მიმდინარეობს და დასრულდება 2017 წლის მაისში.

დავით სერგეენკო – მიესალმა დამსწრეებს, ბოდიში მოიხადა დაგვიანებისთვის და უსურვა დამსწრე საზოგადოებას ნაყოფიერი მუშაობა.

ირმა ხონელიძე - წარუდგინა აუდიტორიას განახლებული ინფორმაცია გრანტების განხორციელების თაობაზე.

აივ გრანტი

პროგრამა მიმდინარეობს შეფერხებების გარეშე. განიხილება აივ პროგრამის შეფასების განხორციელების მექანიზმები. აღნიშნული შეფასების ჩატარების მოსაზრება გამოთქვა გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერმა, ქ-ნმა წოვინარ საკანიანმა 2017 წლის თებერვალში საქართველოში ვიზიტის დროს. 2017 წელს იგეგმება დიდი მოცულობით შესყიდვების განხორციელება. ამ კუთხით პრობლემურ საკითხად ისახება 1 მლ შპრიცების შესყიდვა, შესყიდვების პროცესიდან გამომდინარე. მიუხედავად სამი თვის განმავლობაში განხორციელებული მცდელობისა ხელშეკრულება ჯერჯერობით არ არის ხელმოწერილი. ქ-ნმა ხონელიძემ გამოთქვა იმედი, რომ საკითხი მოგვარდება და არ მოხდება მარაგების ამოწურვა.

ტბ პროგრამა

გრანტის დახურვის ფარგლებში დაგეგმილი ყველა აქტივობა მიმდინარეობს დასახული გეგმის მიხედვით. დაფინანსების ახალი მოდელის ფარგლებში მიმდინარე ტბ გრანტის კომპონენტები გეგმის თანახმად ხორციელდება. ყოვლისმომცველი დეტალების წარდგენა მოხდა ტუბერკულოზის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე. ამჟამად არ ფიქსირდება რაიმე გართულების სიგნალები. ქ-ნმა ხონელიძემ გამოთქვა იმედი, რომ გრანტის განხორციელება შედეგად გამოიღებს მკურნალობაზე დამყოლობის და გამოსავლების საგრძნობ გაუმჯობესებაში.

თამარ გაბუნია – მიმართა აუდიტორიას თხოვნით დაესვათ ძირითადი მიმღებისთვის შეკითხვები. შემდეგ მან სიტყვა გადასცა ქ-ნ **თამარ ბორცვაძეს**.

თამარ ბორცვაძე – წარუდგინა აუდიტორიას საზედამხედველო კომიტეტის მიერ 2017 წლის იანვარი - მარტის პერიოდში განხორციელებული აქტივობები. აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა ორი სავლე ვიზიტი (გორი და ბათუმი). ორივე ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტების განხორციელების მიმდინარე სტატუსის განხილვა და მათი განხორციელების ნებისმიერი დამაბრკოლებელი ფაქტორების იდენტიფიცირება. დამატებითი მიზანი იყო პროგრამების ბენეფიციარებთან შეხვედრა მიწოდებული სერვისების შესახებ კმაყოფილების თუ უკმაყოფილების შესახებ პირველადი წყაროდან ინფორმაციის მიღების მიზნით. ვიზიტის დროს მონახულებული საიტები.

გორი: ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი (გორის ფილიალი), ტბ ცენტრი (გორმედი), ნაბიჯი მომავლისკენ (ზიანის შემცირების ცენტრი);

ბათუმი: ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი/იმედი, თანადგომა, აივ/შიდსით დაავადებულ პაციენტთა ფონდის ბათუმის ფილიალი.

აუდიტორიას წარუდგინა შემდეგი მიგნებები/დაკვირვებები:

აივ პროგრამა. აღინიშნა, რომ არ დაფიქსირდა პრობლემატური საკითხები **მენეჯმენტის, თანხების, მარაგების, მედიკამენტების და მასალების დროული მიწოდების კუთხით.** ასევე არ დაფიქსირდა პრობლემა ანგარიშგებასთან დაკავშირებით. გორში მარტივად მოხდა **ბენეფიციართა რეგისტრაციის სისტემაში** ცვლილების ადაპტირება, ხოლო ბათუმის „იმედის“ პერსონალი მიერ აღნიშნულ სისტემასთან ადაპტირებისათვის მოთხოვნილ იქნა დამატებითი ტრენინგები და კვალიფიკაციის ამაღლება. ბათუმის „იმედის“ პერსონალის მიერ გამოითქვა შემოფოთება **სგი-ს გავრცელების, განსაკუთრებით სიფილისის, მაღალი დონის** გამო.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები ბათუმის საზღვაო ჰოსპიტალთან ბენეფიციარებისათვის საჭირო მკურნალობისათვის რეფერალური მექანიზმის დანერგვის თაობაზე (აღნიშნულის წამოწყება იგეგმება 2017 წლის მარტიდან).

ორგანიზაციამ „ნაბიჯი მომავლისკენ“ (გორი) წამოიწყო გასვლითი აქტივობების გაფართოებისკენ მიმართული ქმედითი აქტივობები. ორგანიზაციამ განახორციელა „აუთრიჩი“ და ნარკოტიკის ინიექციური მომხმარებლების თემის მობილიზება შიდა ქართლის და კახეთის რეგიონების მიღმა, სამცხე-ჯავახეთის მიმართულელებით. არ დაფიქსირდა პრობლემური საკითხები გორში მოქმედი *ობიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის* ზოგად მენეჯმენტთან, ფინანსური რესურსების მიწოდებასა და მედიკამენტების მარაგთან დაკავშირებით. თუმცა შეზღუდული სივრცე იდენტიფიცირებულ იქნა როგორც ბენეფიციარებისათვის ადეკვატური კონსულტაციის მიღების ერთ-ერთ ბარიერი. აივ მკურნალობასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დიდთოვლობამ აჭარის რეგიონში გამოიწვია 4-5 დღით საიტზე/სახლებში მედიკამენტების დისტრიბუციის შეფერხება. ბათუმის შიდსის ცენტრის შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს უკმაყოფილება ახალი მენეჯმენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით თანამშრომლებს, რომლებიც ჩართულნი არიან როგორც სახელმწიფო, ასევე გლობალური ფონდის პროგრამებში ჩამოეჭრათ დამატებითი შემოსავალი, მიღებული სახელმწიფო პროგრამებიდან. თუმცა აღნიშნულმა არ იქონია გავლენა პროგრამის განხორციელებაზე. „თანადგომის“ თანამშრომლების მიერ გამოითქვა გარკვეული შემფოთება სამიზნე - 1100 MSM-ის მოცვის მიღწევასთან დაკავშირებით თბილისსა და ბათუმს შორის MSM-ების მიგრაციის მაღალი დონის გათვალისწინებით. ბენეფიციარებმა გამოთქვეს კონდომებთან და ლუბრიკანტებთან ერთად სველი ხელსახოცების დისტრიბუციის და MSM-ისთვის სპეციალიზირებული ფსიქოლოგიური საკონსულტაციო მომსახურების მიწოდების სურვილი. „თანადგომის“ ბათუმის ფილიალის თანამშრომლებმა გამოთქვეს სურვილი დაინერგოს სპეციალიზირებული ინტერვენციები სარფის სასაზღვრო პუნქტის გადამკვეთ სატვირთო ავტომობილების მძღოლებისათვის, რომლებიც ხშირად იყენებენ სექს-მუშაკების მომსახურებას

ტბ პროგრამა არ დაფიქსირდა პრობლემური საკითხები მენეჯმენტთან, თანხების დროული გადარიცხვასთან, მედიკამენტების და მასალების მიწოდებასთან დაკავშირებით. არასათანადო ინფრასტრუქტურა (ძირითადად ეხება შენობას, რომელიც საჭიროებს რემონტს) დასახელდა, ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრის ტბ განყოფილების ხელმძღვანელის ბ-ნ ცეცხლაძის მიერ ტბ პაციენტებისათვის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად. მიუხედავად იმისა, რომ MSF-ის დახმარებით დაიწყო გარკვეული სარემონტო სამუშაოები, აღნიშნული არ არის საკმარისი პაციენტებისათვის მკურნალობის გაუმჯობესებული გარემოს შესაქმნელად. გორში ტბ ცენტრში ვიზიტისას განხილულ იქნა ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიწოდებასა და საჭიროების შემთხვევაში მათი ერთი საიტიდან მეორეზე გადაცემასთან დაკავშირებული გარკვეული სირთულეები. აღნიშნული შესაძლოა

უკავშირდებოდეს ფინანსური პროცედურების ან მიწოდების მექანიზმის გაუმართაობას და საჭიროებს დამატებით შესწავლას და სათანადო რეაგირებას. როგორც ცნობილია, მიმდინარეობს გარკვეული მუშაობა ამ პრობლემის გადასაჭრელად. შემდეგ, ქ-ნმა ბორცვამემ მიაწოდა აუდიტორიას ინფორმაცია გლობალური ფონდის რეგიონული პროგრამის „ზიანის შემცირება მუშაობს - დააფინანსეთ!“ ფარგლებში მოლდოვეთში განხორციელებული საიტ ვიზიტის შესახებ. მან წარადგინა პროგრამის ძირითადი კომპონენტები და მიმართულებები, საქართველოში განხორციელებული აქტივობები, განსაკუთრებით ზიანის შემცირების სერვისების მდგრადობის თვალსაზრისით. ქ-ნმა ბორცვამემ აღნიშნა, რომ ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელის ინიციატივა თემის დონეზე შპრიცებს და ნემსების პროგრამის და მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შექმნის შესახებ წარდგენილ იქნება სხდომაზე მოგვიანებით ქ-ნი მზია ტაბატაძის მიერ და გამოთქვა მოსაზრება საზედამხედველო კომიტეტსა და პროგრამას შორის თანამშრომლობის მიზანშეწონილობის თაობაზე. ბოლოს, ქ-ნმა ბორცვამემ განაცხადა, რომ საბჭოს მიეწოდა დემზორდები, რეკომენდაციის წარდგენა მოხდება ელექტრონულ ფორმატში.

იზოლეტა ბოდუკია – წამოწია ბათუმის შიდსის ცენტრში სათანადო ფართობის არსებობის საკითხი და აღნიშნა, რომ ცენტრში სამ ექიმს უწევთ ერთსა და იმავე ოთახში მუშაობა. აღნიშნული ქმნის არასასურველ გარემოს ბენეფიციარებისათვის და არღვევს მათ უფლებას კონფიდენციალობაზე. მსგავსი პრობლემა წარმატებით გადაიჭრა ზუგდიდში, თუმცა კვლავ ფიქსირდება ბათუმში და სათანადო რეაგირებას მოითხოვს. შემდეგ მან ისაუბრა სამედიცინო დაწესებულებებში არსებულ სტიგმა/დისკრიმინაციის შემთხვევებზე, რომლებიც წარმატებით გადაწყდა მისი ჩართულობით და ქსს-ს დახმარებით.

დავით ანანიაშვილი – მიმართა ქ-ნ ბორცვამეს შეკითხვით საზედამხედველო კომიტეტის წევრების საზედამხედველო აქტივობებში ჩართულობასთან დაკავშირებით.

თამარ ბორცვამე – უპასუხა, რომ სასურველია უფრო აქტიური ჩართულობა, განსაკუთრებით ტუბერკულოზის სფეროში ექსპერტიზასთან მიმართებით.

ხათუნა თოღაძე – გამოეხმაურა ნარკოტიკის ინიექციური მომხმარებლების მიმართ სტიგმა/დისკრიმინაციის საკითხს. იგი შეეხო ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის გორის ფილიალში შესაბამისი ფართობის საკითხს და განაცხადა, რომ ეკონომიკის სამინისტროს ჩართულობის მეშვეობით საკითხი გადაწყდა და მოხდა შესაბამისი ფართის გამოყოფა. 2017 წლის ივნისი-ივლისიდან ბენეფიციარები სერვისს შესაბამის გარემოში მიიღებენ.

ირმა ხონელიძე – გამოეხმაურა მედიკამენტების მოძრაობის საკითხს, სახელდობრ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის იანვრიდან. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით ყველა რეზიდენტი-ორგანიზაცია სხვა ორგანიზაციებისთვის პროდუქტის/სერვისების

გადაცემისას იბეგრება მოგების გადასახადით. ამრიგად, გლობალური ფონდის პროგრამების ფარგლებში, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ დაკონტრაქტებული ორგანიზაციები დკეც-სგან უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების სხვა განმახორციელებელ ორგანიზაციებისადმი რედისტრიბუციისას უნდა გადაიხადონ მოგების გადასახადი. ზემოთ ხსენებული საკითხი წამოყენებულ იქნა ქ-ნ წოვინარ საკანიანის 2017 წლის 1 მარტის წერილში. დკეც-მა წამოიწყო ამ საკითხის მოგვარებისკენ მიმართული მუშაობა. როგორც დროებითი გამოსავალი შემუშავებული იქნა მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს გადასახადის ტვირთის დკეც-ზე დაკისრებას. მიმდინარეობს კონსულტაციები, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტთან საკანონმდებლო ცვლილებების შემოღებასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას. ქ-ნმა ხონელიძემ მიმართა ქს-ს თხოვნით შეუერთდეს დკეც-ს საკითხის ადვოკატირებაში.

მზია ტაბატაძე – გამოეხმაურა აჭარის რეგიონში სიფილისის მაღალ დონეს და დასვა კითხვა აღნიშნულის ახალი სწრაფი ტესტების შემოღებასთან შესაძლო კავშირის შესახებ.

მაკა გოგია – უპასუხა შეკითხვას და განაცხადა, რომ ახალი ტესტების შემოღება ახლახან მოხდა და დადასტურების პროცენტული მაჩვენებელი იქნება ცნობილი დაახლოებით ერთი წლის შემდეგ.

თამარ გაბუნია – მოკლედ წარადგინა ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელის ინიციატივის ძირითადი კომპონენტები და ხაზი გაუსვა სათემო ორგანიზაციების გაძლიერების მნიშვნელობას.

მზია ტაბატაძე – მადლობა მოახსენა ქ-ნ გაბუნიას შესავალისთვის და ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელის ინიციატივის წარდგენისთვის (პრეზენტაცია თანდართულია). გამომსვლელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე: ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელის ინიციატივა ეხება ზიანის შემცირების სერვისებს და ითვალისწინებს საქართველოში თემზე დაფუძნებული ჩანაცვლებითი თერაპიის და ნემსების და შპრიცების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ინსტიტუციონალიზაციას. წარდგინდა იქნა გლობალური ფონდის რეგიონული პროგრამის „ზიანის შემცირება მუშაობს - დააფინანსეთ!“, ძირითადი კომპონენტები და ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ საქართველოში განხორციელებული აქტივობები. ხაზგასმით აღინიშნა რომ ქსს და შესაბამისი დაინტერესებული მხარეები კარგად იცნობენ პროგრამას და მის აქტივობებს. აღინიშნა, რომ პროგრამა გაგრძელდა 2017 წლის დეკემბრამდე და მეთაღონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის და ნემსების და შპრიცების პროგრამის თემზე დაფუძნებული მონიტორინგისა და შეფასების ინსტიტუციონალური მექანიზმების

შექმნა წარმოადგენს რეგიონული პროგრამის დასკვნითი ფაზის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. მომხსენებელმა წარადგინა დავალების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და გამოხატა მაღლიერების გრძნობა დაინტერესებული მხარეების მიმართ ჩართულობისათვის. ამის შემდეგ, წარდგენილ და განხილულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების ხუთი ელემენტი (სახელმძღვანელო კომპონენტი). აუდიტორიას წარედგინა ბენეფიციარების მიერ შესავსები კითხვარები. ინიციატივის მიზანია შეიქმნას კომუნიკაციის ფორმალური არხები მონიტორინგის მიგნებების და შედეგების ჯანდაცვის ოფიციალური პირების და პოლიტიკის შემქმნელების მიერ გათვალისწინების უზრუნველყოფის მიზნით. **შემოთავაზებულ იქნა თემზე დაფუძნებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემდეგი მოდელი:** გაფართოვდეს ქსს-ს საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობა, სადაც ნიმ-ების ერთი წარმომადგენელი იმოქმედებს როგორც ძირითადი საკონტაქტო პირი თემსა და ქსს-ს შორის. გარკვეულ პირს დაეკისრება მოვალეობა წარუდგინოს საზედამხედველო კომიტეტს შესასწავლად თემზე დაფუძნებული მონიტორინგისა და შეფასების მიგნებები და რეკომენდაციები, ისევე როგორც მონაცემთა სრული ბაზა (წელიწადში ერთხელ ან ორჯერ). ამის შემდეგ, საზედამხედველო კომიტეტი მოახდენს მონაცემთა ვერიფიკაციას და ქსს-ს საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად აწარმოებს მონიტორინგის დამატებით ვიზიტებს. საბოლოოდ თემზე დაფუძნებული მონიტორინგისა და შეფასების შედეგები წარედგინება ქსს-ს შემდგომი ქმედებებისათვის.

ქ-ნმა მზია ტაბატაძემ წარადგინა შემდგომი ქმედებები, რომელიც უნდა განხორციელდეს შემოთავაზებული მოდელის მიღების შემთხვევაში: საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების ასახვის მიზნით ქსს-ს დებულების რევიზია; გაფართოებული საზედამხედველო კომიტეტის როლის და ფუნქციების განსაზღვრა; ამჟამად შემუშავების ფაზაში მყოფ ზიანის შემცირების პროტოკოლებში თემზე დაფუძნებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის შესახებ ჩანაწერის შეტანა.

განხილვის მსვლელობისას ხაზი გაესვა შემდეგ საკითხებს: კითხვარების და ინტერვიუების სტანდარტიზირებული ხასიათი, მონაცემების დასამუშავებლად და ანალიზისთვის შესაბამისი ექსპერტული ცოდნის ადამიანის დაკონტრაქტების საჭიროება; ახლად შექმნილი თემზე დაფუძნებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მდგრადობა; რესპონდენტების დაახლოებითი რაოდენობა და სამუშაოს მოსალოდნელი მოცულობა; გამოითქვა თემზე დაფუძნებული სპეზიალიზირებული ინსტიტუტის შექმნის ან არსებულში ინტეგრირების მოსაზრება; 2013 წელს საზედამხედველო კომიტეტის შექმნის რეტროსპექტიულ განხილვისას აღინიშნა, რომ მიუხედავად საწყის ეტაპზე დაფიქსირებულ სამოქალაქო საზოგადოების მაღალი ინტერესისა, მომდევნო ეტაპებზე სამოქალაქო სექტორი ავლენდა დაბალ ინტერესს და ჩართულობას; ბ-ნმა გამყრელიძემ ხაზი გაუსვა როლს რომელიც შეიძლება ითამაშონ

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივმა სამსახურებმა თემზე დაფუძნებული ინიციატივების მონიტორინგსა და შეფასებაში; სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების გაძლიერებასთან ერთად უნდა დაფუძნდეს პარტნიორობა თემზე დაფუძნებულ ყველა სტრუქტურას შორის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რაიონული ცენტრების ჩათვლით.

განხილულ იქნა თემზე დაფუძნებული შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის ქსს-ს ოპერაციულ ქმედებებში ინტეგრირების ფინანსური და ტექნიკური მდგრადობა. ზოგიერთმა წევრმა გამოთქვეს მოსაზრება რომ ნაცვლად საზედამხედველო კომიტეტის დამატებითი პერმანენტული წევრისა, ნარკოტიკის მომხმარებელთა თემმა შეიძლება მოავლინოს შესაბამისი ტექნიკური ექსპერტიზის მქონე პირი, რომელიც იქნება უფლებამოსილი თემის მიერ, წარუდგინოს საზედამხედველო კომიტეტს და შემდგომში ქსს-ს მონიტორინგისა და შეფასების მიგნებები და რეკომენდაციები.

ქსს-ს წევრებმა ცალსახად აღნიშნეს რომ ქსს-ს ამჟამინდელი მანდატი და მოქმედების წესი არა მხოლოდ ითვალისწინებს, არამედ ახალისებს სათემო ორგანიზაციების აქტიურ ჩართულობას, მათი მხრიდან უკუკავშირის მიღებას, გარდა ამისა საზედამხედველო კომიტეტის ყველა საიტ ვიზიტისას ტარდება შეხვედრები პროგრამების ბენეფიციარებთან სერვისების მიწოდების თაობაზე კმაყოფილების/უკმაყოფილების პირველი წყაროდან ინფორმაციის მიღების მიზნით. ამრიგად, ქსს და საზედამხედველო კომიტეტი ყოველთვის მიესალმება სათემო ჯგუფების მონაწილეობას საზედამხედველო კომიტეტის მონიტორინგის ვიზიტებში, ქსს-ს სხდომებში და მათი მხრიდან თემის მიერ შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემების წარდგენას.

თამარ გაბუნია – შეაჯამა განხილვა და აღნიშნა, რომ შესაძლებელია ქსს-ს და სათემო ორგანიზაციებს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერების მექანიზმის შემოღების შესახებ განხილვები სამომავლოდ გაგრძელდეს. განხილვა ქსს-ს მმართველობის დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის საჭიროების შესახებ გაგრძელდება.

გიორგი თაბაგარი – წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია გლობალური ფონდის რეგიონული პროექტის „უფლება ჯანმრთელობაზე“ შესახებ. გრანტის მიმღები - ECOM, ქვე-კონტრაქტორი - თანასწორობის მოძრაობა (პრეზენტაცია თანდართულია). მომხსენებელმა წარადგინა პროგრამის მიზანი, ამოცანები, განმახორციელებელი ქვეყნები, მიდგომები, კონტექსტი, პრიორიტეტები და აქტივობები. ბ-ნმა თაბაგარმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს სამ წელს, ქსს-ს პერიოდულად მიეწოდება განახლებული ინფორმაცია განხორციელების შესახებ და პროექტის ფარგლებში შემუშავებული ყველა დოკუმენტი.

თამარ გაბუნია – მადლობა მოახსენა ბ-ნ თაბაგარს საინტერესო პრეზენტაციისთვის. თავმჯდომარის მოადგილემ ხაზი გაუსვა დაგეგმილი აქტივობების მნიშვნელობას და მათი ინოვაციურ ხასიათს.

ამირან გამყრელიძე – დასვა შეკითხვა ქვეყანაში ტრანს* პირების რაოდენობის შესახებ და თემში ქირურგიული ოპერაციებისათვის მიმართვიანობის ანალიზის შედეგების შესახებ.

MSM თემის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტრანს* პირების რაოდენობის დასადგენად დაგეგმილია რუკაზე დატანების ჩატარება.

თამარ გაბუნია – სიტყვა გადასცა **ბ-ნ** დავით ანანიაშვილს.

დავით ანანიაშვილი – წარუდგინა აუდიტორიას ინფორმაცია სტრატეგიულ გეგმის და დაფინანსების მოთხოვნის შემუშავებაში სათემო ორგანიზაციების უკეთ ჩართულობის მიზნით გამართულ სათემო ორგანიზაციების ორ შეხვედრაზე (პრეზენტაცია თანდართულია).

2017 წლის 24 თებერვალს შეხვედრა გაიმართა ECUO პროექტის „რეგიონული პლატფორმა“ ფინანსური და ქსს-ს სამდივნოს ტექნიკური მხარდაჭერით. შეხვედრას ესწრებოდნენ შიდსის ცენტრის, დკეც-ის წარმომადგენლები, გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერი, ქსს-ს წევრები, სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ბ-ნმა დავით ანანიაშვილმა ყურადღება გაამახვილა შეხვედრაზე განხილულ გამოწვევებზე და აღნიშნა, რომ მიუხედავად მაღალი ხარისხის მკურნალობაზე ხელმისაწვდომობისა, აივ დადებითი პირები კვლავ აწყდებიან მწვავე პრობლემებს. მათ შორისაა: სტიგმა/დისკრიმინაცია, აივ პოზიტიური ბავშვების დიაგნოსტიკა და მათზე ზრუნვა, აივ პოზიტიური ადამიანების სათემო ორგანიზაციების დაბალი დონით ჩართულობა გლობალური ფონდის პროექტების განხორციელებაში, დასაქმება. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის ამბულატორიული კომპონენტით გათვალისწინებულ სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა დასახელდა მომხსენებლის მიერ როგორც ერთ-ერთი მწვავე პრობლემა. აუდიტორიამ აქტიურად განიხილა აღნიშნული საკითხი. გადაწყდა, რომ საკითხი საჭიროებს შემდგომ შესწავლას. ბ-ნმა ანანიაშვილმა კვლავ გაუსვა ხაზი სათემო ორგანიზაციებს დიდ ენთუზიაზმს და სურვილს აქტიურად ჩაერთონ გლობალური ფონდის პროექტებში და შესაბამისი ცოდნის და გამოცდილების არასაკმარის დონეს. მან დიდი შეფასება მისცა პროექტის „რეგიონული პლატფორმის“ ფარგლებში მოსალოდნელი ტექნიკური მხარდაჭერას, რომელიც მიმართული იქნება სათემო ორგანიზაციების შესაძლებლობების ზრდისკენ. **მეორე შეხვედრა 2017 წლის მარტში გაიმართა.** შეხვედრას ესწრებოდნენ ყველა სათემო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის ტბ პაციენტები, აივ დადებითი პირები, MSM-ები, ტრანს* პირები, კომერციული სექს-მუშაკები, ნიმ-ები. შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ასოციაციის შექმნის თაობაზე. მიმდინარეობს თანხების მოძიების პროცესი. ასოციაციის მიზანია სათემო ორგანიზაციების გლობალური ფონდის პროექტებში და სტრატეგიულ დაგეგმარებაში უკეთ ჩართულობის უზრუნველყოფა. ბოლოს, ბ-ნმა დავით

ანანიაშვილმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა სათემო ორგანიზაციების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპზე.

ამირან გამყრელიძე - დაუბრუნდა სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ამბულატორიულ სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის საკითხს და აღნიშნა, რომ საკითხი მოითხოვს დაუყოვნებლივ განხილვას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან.

თამარ გაბუნია - განაცხადა, რომ შედეგება კონსულტაციები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. შედეგების შესახებ ეცნობება ქსს-ს. თავმჯდომარის მოადგილემ მადლობა მოახსენა ბ-ნ ანანიაშვილს და სიტყვა გადასცა **ბ-ნ ზაზა ავალიანს**.

ზაზა ავალიანი – მოკლედ მიმოიხილა პედიატრიული განყოფილების ძველი შენობის არასათანადო ინფრასტრუქტურა. პედიატრიული განყოფილების ახალი შენობა გაიხსნა 2017 წლის 24 მარტს. მას ბ-ნ თენგიზ გვასალიას სახელი მიენიჭა ოფიციალური ბრძანებით. ახალი შენობა შეესაბამება სამედიცინო სტანდარტების თანამედროვე მოთხოვნებს და მასში მკაცრად დაცულია ინფექციის კონტროლის მოთხოვნები. შენობა აღჭურვილია მაღალ ტექნოლოგიური აღჭურვილობით. იგი 22 საწოლზე არის გათვლილი და მაქსიმალურად მორგებულია ბენეფიციართა საჭიროებებს. ბ-ნმა ავალიანმა წარადგინა დაწესებულებების დეტალური აღწერა. ამჟამად მკურნალობას გადის 12 პაციენტი, აქედან ორ პაციენტს აღენიშნება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმა. გამომსვლელმა გამოთქვა ღრმა მადლიერების გრძნობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ დროის უპრეცედენტოდ მოკლე მონაკვეთში მშენებლობის ინიცირებისა და დაფინანსებისთვის.

თამარ გაბუნია – გაუზიარა აუდიტორიას ბ-ნ ანდრეი მოსნეაგას მიერ ტბ ცენტრის გუნდთან ერთობლივად განხორციელებული ტბ ადამიანური რესურსების შეფასების მიგნებები. დაფიქსირდა კრიტიკული სიტუაცია ტბ სფეროში ჩართული შტატის ასაკთან მიმართებაში. თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ ზემოთ ხსენებული მიგნება უნდა დადგეს ტბ საკოორდინაციო კომიტეტის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. მოხდება მიმართვა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტისადმი სხდომის უახლოეს მომავალში გამართვაში დახმარების აღმოჩენის თხოვნით.

ამირან გამყრელიძე – მხარი დაუჭირა აღნიშნულ მოსაზრებას და განაცხადა, რომ სხდომას უნდა დაესწრონ რეგულაციის სააგენტოს წარმომადგენლები და ლიცენზირების საკითხში ჩართულმა პერსონალი.

თამარ გაბუნია – განაცხადა, რომ დევეც გეგმავს განაცხადის შემუშავებას განაცხადების მოწოდების (“Strengthening high-quality health systems accessible for all” Reference: AP-5PC-2017-01 / Health System Strengthening at all levels (local community to national) (HSS)) საპასუხოდ. განაცხადის ძირითადი ფოკუსი იქნება ტბ სერვისების მდგრადობის უზრუნველსაყოფად რესურსების გენერირებასთან დაკავშირებული საკითხები. *შეთანხმდა, რომ ქსს მხარს დაუჭერს განაცხადს.* შემდეგ, ქ-ნმა გაბუნია განაცხადა, რომ MSM წარმომადგენლობამ წამოაყენა ქსს-ს წევრობის ახალი კანდიდატურა ბ-ნ პაატა საბელაშვილის მიერ სამუშაოს შეცვლასთან დაკავშირებით. ქსს-ს სხდომის დაწყებამდე დროის მცირე მონაკვეთით ადრე მოხდა სააპლიკაციო მასალის მიღება და ქსს-ს წევრებთან გაზიარება. *შეთანხმდა, რომ ქსს შეისწავლის სააპლიკაციო მასალას და სტანდარტული პროცედურის მიხედვით მოხდება ახალი წარმომადგენლის გაწევრიანების საკითხის განხილვა ქსს-ს შემდეგ სხდომაზე.*

თამარ გაბუნია – მადლობა მოახსენა მონაწილეებს დასწრებისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თამარ გაბუნია

ნათია ხონელიძე

ქსს-ს თავმჯდომარის მოადგილე

ქსს-ს ადმინისტრაციული ასისტენტი

დანართები:

1. პრეზენტაცია - ინიციატივა/თემის დონეზე შპრიცებს და ნემსების პროგრამის და მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა;
2. პრეზენტაცია - „ჯანმრთელობის უფლება“ ;
3. პრეზენტაცია - სათემო ორგანიზაციების შეხვედრების შედეგები.